

გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების განვითარების და დაქვეითების საკითხისათვის

შოთა ვეშაძე, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნანი მამფორია, სტუ-ს დოქტორანტი

XX

მსოფლიო ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების თითქმის ორასწლიანი პერიოდის მანძილზე მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში კრიზისები მიმდინარეობდა. შეიმჩნეოდა წარმოების მზარდი დაცემა, ბაზარზე არარეალიზებული საქონლის და მომსახურების დაგროვება, ფასების დაცემა, ურთიერთანგარიშსწორების მოშლა, საბანკო სისტემის კრაზი, სამრეწველო და საკაპრო ფირმების გაკოტრება, გადატაკება, განადგურება, უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. სპეციალურ ლიტერატურაში ეკონომიკურ კრიზისებს ახასიათებენ როგორც საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დარღვევას. სწორედ ამ ისტორიული გამოცდილებიდან უნდა გამოვიდეთ კრიზისების განხილვისას.

ეკონომიკური კრიზისი — მეტ-ნაკლებად რეგულარულად განმეორებადი, აგრეთვე წარმოების არარეგულარული დროებითი დაცემა. დრო ერთი კრიზისიდან მეორეზე არის **ციკლი**, ანუ წარმოების მოძრაობა თანამიმდევრულად დაკავშირებული ფაზების გავლით — კრიზისი, ღებრესია, გამოცოცხლება, (გაცხოველება) აღმავლობა. წარმოების ციკლური განვითარების საფუძველია ეკონომიკური კრიზისი.

კრიზისი გამოიხატება იმით, რომ საქონელი წარმოებულია მეტი (ვიდრე ბაზარზე წარმოდგენილი მოთხოვნა), ვიდრე შეიძლება მათი რეალიზება, ვინაიდან მოთხოვნა შეზღუდულია. რეალიზაციის შესაძლებლობათა შეზღუდვა იწვევს იმ სასაქონლო სიჭარბის გაზრდას, რომელიც ვერ პოვებს გასაღებას. შემდეგ ყველაფერი მიდის ჯაჭვური რეაქციით: მეწარმეები ამცირებენ წარმოებას და ათავისუფლებენ მუშებს. მკვეთრად იზრდება უმუშევრობა. მცირდება მყიდველობითი უნარი და შესაბამისად — გასაღება, რაც, თავის მხრივ, ვაჭრობის მოშლას იწვევს. საკრედიტო კავშირები ირღვევა. მეწარმეები განიცდიან საშუალებათა მკვეთრ უკმარისობას მიმდინარე გადასახადებისთვის. ბირჟებზე იწყება პანიკა — აქციათა, ობლიგაციათა და სხვა ფასიანი ქაღალდების კურსი სწრაფად ეცემა. უმაღლეს დონეზე სამრეწველო საწარმოების, საბანკო და საკაპრო ფირმების გაკოტრების ტალღა. ეს ყველაფერი ნიშნავს საზოგადოების საწარმოო ძალების დიდ ნგრევას, მის მოშლას.

საერთოდ, კრიზისის თანამედროვე გაგება დაკავშირებულია ბრიტანელი ეკონომისტის ჯ.მ. კეინის სახელთან. მისი ნაშრომების გამოჩენამდე კლასიკური თეორია კრიზისს განიხილავდა, როგორც საბაზრო ეკონომიკაში

გარეშე ჩარევის შედეგს. კლასიკური თეორიის თანახმად, გარეშე ჩარევის გარეშე ეკონომიკაში მოქმედი ძალები ერთმანეთს აწონასწორებს. ამასთანავე წონასწორობა რესურსების სრულ დასაქმებას გულისხმობს.

კეინსმა პირველმა დაასაბუთა ეკონომიკის წონასწორობის საერთო თეორია არასრული დასაქმების დროს. ამ თეორიაში წონასწორობა რესურსების სრული დასაქმებისას ხდება მხოლოდ კერძო შემთხვევა. ასეთ პირობებში კრიზისის მიზეზი არის ეფექტიანი მოთხოვნის ქრონიკული უკმარისობა. ამაში კეინსი გულისხმობს სამომხმარებლო მოთხოვნასაც და საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნასაც.

თავისი თეორიის აგებას კეინსი ამყარებს იმ მაკრო-ეკონომიკური ცვლადების შერჩევაზე, რომლებიც ექვემდებარება შეგნებულ კონტროლს ან მართვას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. ასეთი ცვლადები, რომლებიც განსაზღვრავს შემოსავლის და დასაქმების დონეს, არის კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა, მოხმარებისადმი მიდრეკილება, მიმოქცევაში ფულის რაოდენობა, ლიკვიდურობისთვის უპირატესობის მინიჭება ან პროცენტის ნორმა, ნომინალური ხელფასი. ნებისმიერი მათგანის ცვლილება ცვლის ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობას, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გავლენა მოახდინოს ეროვნული წარმოების და დასაქმების სიდიდეზე.

კრიზისის შემდეგ იწყება **ღებრესია** — ესაა ციკლის ფაზა, რომელიც ხასიათდება მრეწველობის უძრაობით, ვაჭრობის მოდუნებით, თავისუფალი ფულადი კაპიტალის დიდი მასის არსებობით. ამ პერიოდში მზადდება წანამძღვრები შემდგომი გამოცოცხლებისა და აღმავლობისთვის. ნელ-ნელა იწყება გადასვლა ღებრესიიდან **გამოცოცხლების** ფაზაზე. კრიზისული რყევებიდან გამოსული საწარმოები წარმოების მოცულობას ზრდის უწინდელ დონემდე. ამ პერიოდში ჩქარდება ფასების და მოგების ზრდა.

შემდეგ იწყება **აღმავლობის** ფაზა, როცა წარმოება სცდება უმაღლეს წერტილს, რომელსაც აღწევს კრიზისის ბოლოს წინა ციკლში. აღმავლობის პერიოდში ხდება ახალი საწარმოების აქტიური მშენებლობა და ძველების მოდერნიზაცია, იზრდება დასაქმება, მასთან ერთად კი საქონელზე მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან და ა.შ. ფასები იზრდება, სპეკულაციური ბუმი იწყება, ვინაიდან სავაჭრო კაპიტალი ცდილობს შეისყიდოს რაც შეიძლება

მეტი საქონელი ფასების შემდგომი აწევის ანგარიშით, რითაც მრეწველებს უბიძგებს წარმოების კიდევ უფრო მეტ გაფართოებაზე. ბანკები დიდი სიამოვნებით გასცემენ საწარმოებზე სესხს, ვინაიდან ისწრაფვიან მიიღონ შემოსავლის თავიანთი წილი. ეს იწვევს წარმოებისა და ვაჭრობის სტიქიურ გაფართოებას. იქმნება ჭარბწარმოების მორიგი ეკონომიკური კრიზისის წანამდღერები.

თავიანთი შინაარსით ეკონომიკური კრიზისები იყოფა რამდენიმე ძირითად სახედ. საერთო კრიზისთან ერთად ხდება **შუალედური** კრიზისები. ასეთი კრიზისები დასაბამს არ აძლევს ახალ ციკლს, ისინი რაღაც დროით წყვეტენ აღმავლობის ან გამოცოცხლების ფაზის მიმდინარეობას. ეს კრიზისი ნაკლებად ღრმაა, ნაკლებად ხანგრძლივი, ვიდრე საერთო კრიზისი და ჩვეულებრივ ლოკალური ხასიათისაა. რაც უფრო ძლიერია შუალედური კრიზისი, მით უფრო სუსტია შემდგომი ციკლური.

ნაწილობრივი კრიზისი შუალედურისგან განსხვავებით მოიცავს არა მთელ ეკონომიკას, არამედ ეკონომიკური საქმიანობის რომელიმე სფეროს, მაგალითად, ფულადი მიმოქცევისა და საკრედიტო სფეროს (საბანკო კრიზისი გერმანიაში 1932 წელს).

დარგობრივი კრიზისი მოიცავს მრეწველობის ერთ-ერთ დარგს, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას და შეიძლება განვითარდეს ციკლის ნებისმიერ ფაზაში. იგი შეიძლება იყოს გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით: სტრუქტურული ძვრებით, განვითარების დისპროპორციულობით, დარგობრივი ჭარბწარმოებით.

სტრუქტურული კრიზისი არის კაპიტალისტური ეკონომიკის დისპროპორციული განვითარების შედეგი, რომელიც გამოწვეულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, ეკონომიკის მილიტარიზაციით, მისი სანედლეულო ან მონოდარგობრივი ორიენტაციით. ამ კრიზისებს შეუძლია მოიცვას რამდენიმე ციკლის პერიოდი.

მიუხედავად სხვადასხვაგვარი წარმოშობის კრიზისების სიუხვისა, საერთო კრიზისის ცენტრალური ადგილი უკავია. პირველი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოხდა 1857 წელს. ის იყო ყველაზე ღრმა კრიზისი მანამდე მომხდარ კრიზისებს შორის. ეკონომიკური კრიზისები ხდებოდა 1882 წელს, 1890-93 წლებში, 1900-1903 წლებში, 1907 წ.-ს, 1920 წ.-ს. მაგრამ 1929-1933 წლების კრიზისის ვერაფერი შეედრებოდა. იგი გრძელდებოდა 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მოიცვა მთელი კაპიტალისტური სამყარო. ამ კრიზისის სიმძაფრემ აჩვენა, რომ კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ სტადიაზე გადასვლამ ვერ შეძლო კაპიტალისტური წარმოების სტიქიურობის დაძლევა.

ისტორიაში „თანამედროვე“ ტიპის პირველი კრიზისი ჩვენს ერამდე 88 წელს, რომის რესპუბლიკაში განვითარდა. გვიანდელ რომის რესპუბლიკას ჰქონდა გამართული საბანკო სისტემა, განვითარებული საფინანსო ბაზარი. სამომხმარებლო კრედიტის მაქსიმალური განაკვეთი იქ სულ რაღაც წლიურ 12%-ს შეადგენდა. მარადიული ქალაქი ფულის უკმარისობას არ განიცდიდა. სწორედ კრიზისის წინ „დენომინირება“ განიცადა წვრილმა მონეტამ – ასმა. არავინ შეშფოთებულა რომში, როცა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორმა დაიპყრო მცირე აზია. მითრიდატეს თავდასხმა რომაელებმა მოიგერიეს,

მაგრამ საკრედიტო ბუშტი მაინც გასკდა: სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეიცვალა დეპრესიით. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ როგორ გაართვეს თავი ამ პრობლემას.

დამარცხებულმა მითრიდატემ ყველაფერი ზღო. მშვიდობიანი ხელშეკრულებით მან გაათავისუფლა ყველა დაკავებული ტერიტორია და დააბრუნა სამხედრო ნადავლი; გარდა ამისა, რომმა მიიღო 2000 ტალანტი კონტრიბუციის სახით. მიუხედავად ამისა, 88 წლის მოვლენათა ექო ღიძნას დასტრიალებდა თავს რესპუბლიკას. 20 წლის შემდეგ ციცერონმა მოითხოვა გამოეყოთ კეთილი პომპეისთვის ფული ახალი კამპანიის წამოსაწყებად, რათა ჯამში კიდევ უფრო მეტი არ დაეკარგათ. საერთოდ კი, იმდროინდელი რომაული რყევების ერთ-ერთი მიზეზი იყო 88-85 წლების ფინანსური არასტაბილურობა.

წლის მსოფლიო კრიზისი ანუ ლათინოამერიკული დეფოლტი: ელდორადო, რომელიც ვერ აღმოაჩინეს. 1825 წელს ლონდონში რომ „ჩასძახეს“, ლათინურ ამერიკაში „ამოსძახეს“. რამ განაპირობა კრიზისი? ეს იყო ისტორიაში პირველი საერთაშორისო და ამავდროულად კონტინენტთაშორისი ფინანსური კრიზისი. თითქოს ყველაფერი კარგად იყო: ევროპა ნაპოლეონის ომების შემდეგ დაწყნარდა და მშვიდად ვითარდებოდა. სამხრეთამერიკულმა კოლონიებმა გამოაცხადეს „სუვერენიტეტების აღლუმი“, მაგრამ ესეც სასიკეთოდ წაადგა ევროპას. ახალ ქვეყნებს ფული სჭირდებოდა. ლათინოსებმა გადაწყვიტეს ოქროსა და ვერცხლის საბადოების მოძიება, რათა იოლად გამდიდრებულიყვნენ. მდიდარი ინგლისელი ინვესტორები აღფრთოვანებულნი იყვნენ მათი გეგმებით და აქტიურად აბანდებდნენ ფულს მათ პროექტებში. პარალელურად ტექნოლოგიურმა რევოლუციამ საშუალება მისცა მრეწველებს ეწარმოებინათ ბევრად მეტი საქონელი, ვიდრე საჭირო იყო. საწყობები გადაივსო არალიკვიდური საქონლით – მოგვიანებით ამას უწოდეს „ჭარბწარმოების კრიზისი“. სამხრეთამერიკულმა კრედიტებმა და ინგლისურმა ჭარბწარმოებამ კრიზისის ნაპერწკალი გააჩინა. დაიწყო ინფლაცია, ინგლისის ბანკმა ამოწურა თავისი ოქროს სავალუტო რესურსი, საფონდო ბაზარი დაეცა – ლათინოამერიკელებმა ზომ თავიანთი ელდორადო ვერ აღმოაჩინეს, ასე რომ, ვალის დაბრუნება არ შეეძლოთ. 1825 წლის დეკემბერში მსოფლიო შეიჯახა პირველ საბანკო პანიკას. ყველაზე მეტად იზარალა ლათინურმა ამერიკამ – ყველა ახალგაზრდა ქვეყანამ გამოაცხადა დეფოლტი (უარი ვალდებულებების შესრულებაზე) სახელმწიფო სესხზე, ვინაიდან ერთმანეთისგან ველარაფერს ისესხებდნენ.

როგორ გაართვეს თავი? ევროპაში რეცესია დაახლოებით ერთი წელი გრძელდებოდა: მისმა ჯანმრთელმა ეკონომიკამ მოახერხა ორიენტირება შიდა ბაზარზე, დაემშვიდობა რა ოცნებებს ელდორადოზე. რაც შეეხება ლათინურ ამერიკას, მან უკან დაიხია ათწლეულობით – საბოლოოდ დეფოლტის შედეგებს მხოლოდ 1850 წელს გაუმკლავდა. ეს იყო ყველაზე გრძელი კრიზისი თანამედროვე კაპიტალის ისტორიაში. და ეს იმიტომ რომ ოქრო კი არ უნდა ეძებო, არამედ მეურნეობა უნდა განავითარო.

სარკინიგზო ბუმი: დაცემა ყოველწამს არის მოსალოდნელი. 1857 წელს აშშ აქტიურად ავითარებს სარკინიგზო ხაზს... რამ განაპირობა კრიზისი? „გაკოტრებამ საშინელ მასშტაბ-

ბეგს მიაღწია. თითოეული ეკითხვოდა თავის თავს, რა ელოდა მომავალში. მრავალს ქონება გაუნადგურდა, ბევრს გაუნახევრდა, უწინ შეძლებული მრავალი ოჯახი გაჭირვებაში ჩავარდა, მუშათა უმრავლესობა უმუშევრად დარჩა. ნაცნობი სურათია, არა? არადა ყველაფერი კარგად იწყებოდა. ჩრდილოეთ ამერიკას სამხრეთთან შედარებით ოქოსთან დაკავშირებით გაუმართლა. კალიფორნიაში მდიდარი საბადოების აღმოჩენამ აშშ-ში ეკონომიკური ბუმი გამოიწვია. მაგრამ კალიფორნია მაშინ ისე შორს იყო საქმიანი ცენტრებიდან, რომ ამერიკელებმა გამალებით იწყეს რკინიგზების მშენებლობა. 1857 წელს კი აშკარა გახდა, რომ რელსები და შპალები თავს ვერ აინახავდნენ. კრედიტების დაბრუნება კი არაფრით შეეძლო.

იტყვი, რა შუაშია აქ ევროპა? შტატებში ერთ-ერთი დარგი დაინგრა – ეს არის და ეს. მაგრამ საკრედიტო თანხა ზომ დირითადად ინგლისიდან – საყოველთაო მევახშე დედაბრისგან – მოედინებოდა. ოკეანგალმა გაკოტრებამ ცულის დარტყმაზე უარესად იმოქმედა. ვერ მიიღო რა „სარკინიგზო“ ფული, ათობით ბანკი ასეულობით ფილიალით განადგურდა: დაიწყო ნამდვილი ფინანსური აპოკალიფსი. მასობრივად იხურებოდა საწარმოები, ინგლისის ბანკმა რაღაც ერთ თვეში 5-ჯერ გაზარდა სააღრიცხვო განაკვეთი, მაგრამ ოქროს მარაგი მაინც ვერ იხსნა. დეკემბერში პანიკა მოედო კონტინენტს, მოგვიანებით კი კრიზისის ექი იგრძნობოდა მთელ მსოფლიოში – სახრეთ აფრიკიდან ჩინეთამდე.

როგორ გაართვეს თავი? ევროპა შედარებით სწრაფად გამოვიდა კრიზისიდან – 1825 წლის გამოცდილებით ბანკირებმა უკვე იცოდნენ, რომ საჭიროა მკვეთრად გაზარდო ფინანსური დისციპლინა და თავიდან მოიშორო საეჭვო „აქტივები“. ყველაზე მეტად გაუჭირდა აშშ-ის ჩრდილოეთს, რომელმაც არასაიმედო მსესხებლის რეპუტაცია შეიძინა. ფინანსური კრიზისის შედეგები იქ თითქმის სამოქალაქო ომამდე იგრძნობოდა. ქვეყნის აგრარულმა სამხრეთმა კი საერთოდ ვერაფერი იგრძნო: ბამბას სულ არ ენადვლებოდა რკინიგზის ხაზები, მისი დრო დიდი დეპრესიის დროს მოვიდოდა...

კრიზისი გერმანიაში და აშშ-ში – იტანჯება ინგლისი. 1873 წელს აშშ გონს მოეგო სამოქალაქო ომისგან, გერმანიამ სულ ახლახან გასრისა საფრანგეთი და ზეიმობდა თავის გაერთიანებას...**რამ განაპირობა კრიზისი?**

მორიგი „თავბრუსხვევა წარმატებებისგან“ – ამჯერად სამხედროთა. ავსტრო-უნგრეთსა და გერმანიაში დაიწყო ბობოქარი აღმავლობა. პარიზიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს კარგად ეცხოვრათ – ახალ ფართო ბინებში. მათი გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა სპეციალური ბანკები. რაღაც მომენტში ადამიანებმა უბრალოდ შეწყვიტეს გიჟური ფულის გადახდა სადღაც ბერლინის განაპირას მდებარე სახლებისთვის და 1873 წელს, „შავ პარასკევს“, ვენაში, საფონდო ბირჟაზე, კოტირება დაეცა. მაშინვე დაინგრა ამსტერდამის და ციურიხის ბაზრები. პანიკამ მოიცვა მთელი ევროპა. მაგრამ განა მართო ევროპა?! შეშინებულმა გერმანულმა ბანკებმა მაშინვე უარი უთხრეს ტანჯულ ამერიკელ რკინიგზელებს კრედიტების გაგრძელებაზე. აშშ-ში უმუშევრობამ მალე 25-30%-ს

მიღწია, განსაკუთრებით დაზარალებულნი მეტალურგები. ეს კიდევ რაა – გაკოტრდა თვით ჯეი კუკი – წყნარი ოკეანის გაერთიანებული სარკინიგზო ხაზის ფინანსისტი და პრეზიდენტი. ასეთი საოროტქმავლო სიურპრიზების შემდეგ გასაკვირი აღარაა, რომ სწორედ აშშ გახდა მასობრივი ავტომშენებლობის სამშობლო.

როგორ გაართვეს თავი? აშშ-ში ყველაფერი მარტივად გადაწყდა: კეთილმა ბანკირმა, ჯ.პ. მორგანმა 62 მლნ დოლარი ოქროთი მისცა ამერიკის ფინანსთა სამინისტროს, რამაც მას საშუალება მისცა გაესტუმრებინა ძირითადი ვალდებულებები. გერმანიას მოუხდა საკუთარი ამბიციების შეზღუდვა, რითაც საფრანგეთის და რუსეთის პოზიციები კვლავ გამტკიცდა. ყველაზე მეტად გაუჭირდა ბებრუხუნა-მევანშე ინგლისს, რომელიც ფულს უხდიდა როგორც გერმანელ მშენებლებს, ისე ამერიკელ რკინიგზელებს. 23 გრძელი წელი დასჭირდათ მიაღწი ინგლისელებს გონზე მოსასვლელად, ბრიტანეთის ისტორიაში კი ეს დრო შევიდა სახელწოდებით „ხანგრძლივი დეპრესია“.

პირველი სანდლეული კრიზისი: გამარჯობა, „რაშა“ (რუსეთი), ახალი საუკუნე! 1900 წელი- ბებრუხუნა ევროპა და მასზე მიკედლებული რუსეთი. რამ განაპირობა კრიზისი? კვლავ გვიხდება იმის თქმა, რომ კრიზისამდე მიგვიყვანა აღმავლობამ – არნახულმა ეკონომიკურმა ზრდამ XIX საუკუნის ბოლოს. სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ნახშირის მსოფლიო მოპოვება გაიზარდა 65%-ით, თუჯის გამოდნობა – 70%-ზე მეტით, ფოლადის წარმოება – თითქმის 3-ჯერ! მხოლოდ არ იცოდნენ, ეს ყველაფერი სად წაეღოთ: წარმოება ვერ ეწეოდა. შედეგად ფასები ნედლეულზე შემცირდა. თითქოს განსაკუთრებული არაფერი იყო, თან ბაზრის გიგანტებმა მოასწრეს დარტყმისთვის მომზადება – ისინი გაერთიანდა კარტელებად, რათა მოეხდინა ფასების რეგულირება. ფასების მკვეთრი ვარდნა და უმუშევრობის აფეთქება 1900-1903 წლებში იმის მაუწყებელი პირველი მერცხლები გახდნენ, რასაც შემდეგ უწოდეს „იმპერიალიზმი“. მსოფლიო მონოპოლიებმა დაიპყრო.

როგორ გაართვეს თავი? ამ კრიზისიდან მსოფლიო იხსნეს გამოგონებლებმა: ტექნიკურმა რევოლუციამ შეცვალა სოციალური. ახალი მეთოდები, ახალი გამოგონებები საჭიროებდა მსხვილ კაპიტალდაბანდებებს. უშველეს გენერლებმაც: საკმაოდ დიდი ხანი ევროპაში აღარ იყო საომარი მოქმედება, შეკვეთა „თავდაცვისთვის“ მუდმივად იზრდებოდა. საჭირო იყო ლითონი და ენერგომატარებლები. ასე გადაარჩინეს ნოვატორებმა და მილიტარისტებმა მენდლეევი უფსკრულში გადაჩეხვისგან.

დიდი დეპრესია: როგორ შეირყა სამყარო. 1929-1933 წლების აშშ და დანარჩენი მსოფლიო. რამ მიგვიყვანა კრიზისამდე? არსებობს, სულ მცირე, 8 მოსაზრება ყველაზე ცნობილი ფინანსური კრიზისის მიზეზების შესახებ. უხეშად რომ ვთქვათ, ნაღდი ფულის უკმარისობა მიაწვა საბირჟო ბუმს და 1929 წლის 24 ოქტომბერს ყველა ამერიკული აქციის კოტირება ჩაიფუშა („პანიკა უოლ-სტრიტზე“). ეს იყო ალბათ ყველაზე შავი ხუთშაბათი აშშ-ის ისტორიაში. ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ ამერიკელმა აქციონერებმა დაკარგეს 15 მლრდ დოლარი, ორი თვის შემდეგ კი – 40 მლრდ დოლარი. არადა მაშინდელი დოლარი ბევრად ძლიერი იყო ახლანდელზე! წარმოებამ უკან დაიხია 30

წლით, უმუშევრობის დონე არნახული გახდა. 1931 წელს საბოლოოდ დაინგრა საერთაშორისო კრედიტორების ბაზარი. მესამე მსოფლიოს ქვეყნები წაშლი ადმოიწინა ფინანსური წყაროს გარეშე.

როგორ გაართვეს თავი? კრიზისის მთავარი შედეგი გახდა ეროვნული ვალუტების გამომშვიდობება „ოქროს სტანდარტთან“ – მხოლოდ დოლარი რჩებოდა ფორმალურად მიბმული ოქროზე. ამერიკის ეკონომიკამ აღორძინება დაიწყო 1932 წელს, როცა პრეზიდენტად აირჩიეს ფ. რუზველტი – მისმა „ახალმა კურსმა“ გაამხნევა ამერიკელები და ისინი სიხარულით მისცვიდნენ გროშებზე გზების მშენებლობას (რა თქმა უნდა, საავტომობილოს) და დაიწყეს სხვა საზოგადოებრივი სასარგებლო საქმიანობა. სამხრეთელ ფერმერებს უხდინდნენ მიწის გამო, რომ აღარ მოეყვანათ ბამბა, რომელიც სად წაეღოთ, უკვე აღარ იცოდნენ. ევროპული ქვეყნები იძულებული იყვნენ, მაგრად შემოეჭირათ ქაშრები და აერჩიათ უფრო მკაცრი ლიდერები. ასე მაგალითად, ახალმა გერმანიელმა რაიხსკანცლერმა, მოკრძალებული ზომების მაჩომ, სწორედ იმ მომენტში მიიღო ხელისუფლება, როცა ევროპა კრიზისიდან გამოდიოდა, რის წყალობითაც მოახერხა მოსჩვენებოდა ყველას „ერის მხსნელად“.

ნავთობის ემბარგო. 1973 წელი. მსოფლიოში ნავთობის ყველა მომხმარებელი.

რამ განაპირობა კრიზისი? 1973 წლის ოქტომბრის ომმა („სამსჯავრო დღის ომი“) ერთი მხრივ, ისრაელსა და ეგვიპტეს და მეორე მხრივ, სირიას შორის რატომლაც აღფრთოვანება არ გამოიწვია ნავთობის არაბ ექსპორტიორებს შორის (ოპეკის ქვეყნები). 1973 წლის 17 ოქტომბერს მათ უბრალოდ უარი განაცხადეს მიეწოდებინათ ენერგომატარებლები აშშ-ისთვის, რომელმაც მხარი დაუჭირა ისრაელს ამ კონფლიქტში – ასე ვთქვათ, შური იძიეს მასზე. ისრაელის სხვა მოკავშირეებისთვის ერთ საათში ფასები აწიეს 60%-ით, შემდეგ კი ორჯერ მეტად. ჯამში, ზრდამ 3 დოლარიდან 12 დოლარამდე მიაღწია ბარელზე. დასავლეთი სრულიად არ მოელოდა ასეთ „არაადეკვატურ“ რეაქციას. საინტერესოა, რომ არაბულ ულტიმატუმამდე რამდენიმე თვით ადრე ამერიკელები გაბრაზდნენ თავიანთ ნავთობმწარმოებლებზე – ვითომდა ხელოვნურად ზრდიან ფასებს. ეს ბავშური ცეცხლი იყო ოპეკის განცხადებასთან შედარებით. დასავლეთში მკაცრი ეკონომიის დრო დადგა. ბევრი კომპანია გაკოტრდა, 15 მლნ ადამიანი უმუშევარი დარჩა, წარმოება დაეცა.

როგორ გაართვეს თავი? დასავლეთის დასახმარებლად გამოვიდა მსოფლიოში პირველი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, აგრეთვე ოპეკში არმყოფი ირანი. სწორედ იმ შემოდგომით საბჭოთა კავშირმა პირველად გაუკეთა საკუთარ თავს ნავთობის ზემოგებების ინექცია. დასავლეთი კი პირველად ჩაფიქრდა სერიოზულად ენერგომომარაგებაზე. მთავრობებმა დაიწყეს ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიების დაფინანსება – ატომიდან ნაკელამდე. ემბარგო მოიხსნა 1974 წელს, მაგრამ წარმოების ამაღლება დაიწყო ორიოდე წლის შემდეგ.

„აზიური კრიზისი“: როგორ გასკდნენ ვეფხვები. 1997 წელი. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, შემდეგ ყველგან. **რამ განაპირობა კრიზისი?** 1980-90-იან წლებში ვინ არ აღფრთოვანებულა „აზიური ვეფხვების“ წარმატებით.

რამდენიმე პატარა ქვეყანამ აჩვენა ფანტასტიკური ზრდის ტემპები: ისე ჩანდა, თითქოს ბოლოს და ბოლოს გამოიგონეს პროგრესის მუდმივი ძრავი. მაგრამ მსოფლიო ისეა მოწყობილი, რომ სადაც კი გვარიანად ვითარდება ეკონომიკა, მაშინვე იქ მიდიან ბატონი ინვესტორები ზემოგების ანგარიშით. ამ რიგში პირველები აღწევნ წარმატებას, მას მიჰყვებიან სხვები... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პირამიდა ინგრევა. ასე რომ, ტაილანდის უზარმაზარი საგარეო სესხი არ შეიძლება დაუსჯელი დარჩენილიყო. 1997 წლის ივნისში ტაილანდურმა ბატმა ორჯერ განიცადა დევალვაცია. მანამდე არხეინად მყოფი ბატონი ინვესტორები შემფოთდნენ და დაიწყეს თავიანთი ფულის გამოტანა რეგიონიდან. შედეგად უძლიერესი დარტყმა მიიღო ინდონეზიამ, მალაიზიამ, სამხრეთ კორეამ და რეგიონის სხვა ქვეყნებმა. აღმოჩნდა, რომ „ვეფხვების“ კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო სასესხო კაპიტალზე. მხოლოდ სინგაპურმა ტაივანთან ერთად მოახერხა დაეცვა თავიანთი ბაზრები მკვეთრი დაცემისგან. ნახევარ წელიწადში პლანეტამ დაკარგა 2 ტრლნ დოლარი, რომელიც წინდაუხედავად დააბანდა მსუნავი „ვეფხვის ყბებში“. აქციათა კოტირება შემცირდა მთელ მსოფლიოში.

როგორ გაართვეს თავი? თითქმის ყველა დაზარალებულ ქვეყანაში შეიცვალა მთავრობები, გამოცხადდა „ქაშრების შემოჭრის“ პოლიტიკა. საერთაშორისო საეკონომიკო ფონდი დაეხმარა „ვეფხვებს“ კრედიტებით. 1999 წლის დამდეგს აშკარა გახდა, რომ კრიზისი უკან დარჩა. აშშ-ში იპოთეკური ბაზრის ჩავარდნამდე რჩებოდა 9 წელზე მეტი...

როგორც ხედავთ, კრიზისი სულაც არაა სასიკვდილო. ასეთ რყევითა უმეტესობა 2-4 წელიწადში გადის, რომლის შემდეგაც კვლავ დგება საყოველთაო კეთილდღეობა.

როგორ შეცვალოს დებრესია. 1929-33 წლების დიდმა დებრესიამ ისე შეაშინა ამერიკელი ეკონომისტები, რომ დაიფიცეს: ქვეყანაში მეტად აღარ იქნება დიდი დებრესია! ამისთვის გამოიგონეს ტერმინი „რეცესია“, რომლითაც სარგებლობდნენ ექპერტები ყველა შემდგომი კრიზისის დროს.

ევროს სერიოზული პრობლემები აქვს. და ახლანდელი კრიზისი? აი თითქოსდა დავინახეთ გვირაბის ბოლოს სინათლე, რომ იფეთქა სამხრეთ ევროპამ: საბერძნეთის ფინანსურმა კრახმა დარტყმის ქვეშ დააყენა მთელი ევროზონა. ბერძნებს ხომ უნდა ვუშველოთ, ამისთვის კი საჭიროა მილიარდობით თანხის დახარჯვა დაბრუნების გარანტიის გარეშე. „როდესმე საბერძნეთი გაკოტრდება. მისგან შეიძლება დასნებოვანდნენ პორტუგალია და ესპანეთი, ყველა ამ ქვეყნის შველა კი ევროპას არ შეუძლია. ევროს მომავალი საკმაოდ სავეალალოა“ – სკეპტიკურად განაცხადა ნ. ფერგიუსონმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა. „ევრო სუსტდება, – გვაფრთხილებს მეცნიერი, – მან ახლაც უკვე საკმაოდ დაიკლო დოლართან შედარებით“. ერთიანი ვალუტა ხომ უბიძგებს ძლიერ ქვეყნებს სუსტების დასაცავად. გადასახადების გადამხდელებს კი, ვთქვათ, გერმანიას რატომლაც არ სურს თავისი ევროს მიცემა ბერძნებისა და სხვებისთვის. მათ კარგად ახსოვთ, რომ გერმანული მარკების დროს ასეთი ქაოსი არ იყო. ასე რომ, გამორიცხული არაა ეროვნულ ვალუტაზე დაბრუნება კვლავ აქტუალური გახდეს.

*Shota Veshapidze
Nani Mamphoria*

THE WORLD ECONOMIC CRISIS DEVELOPMENT AND REDUCTION

SUMMARY

In the article is discussed, as the first Keins proved that the cause of the crisis is an effective demand of chronic shortage. By the contrast of him, the classical theory of crises is considered as the result of interference in the market economy. Despite of the different origins of the plentiful crisis, the total crisis takes the central place. The first world economic crisis occurred in 1857. It was the most profound crisis between that crisis occurred before. Economic crises occurred in 1882, in 1890-93, in the years of 1900-1903, 1907th and 1920th. But the recession of 1929-1933 nothing compared. It lasted more than 4 years and covered the entire capitalist world.

The article concentrates on the historical experience of the crisis. Successful ways of overcoming this problem was: the economical orientation toward the domestic market, mainly to repay, its support with liquid assets, it required to increase financial discipline and to avoid the doubtful 'actives'. During the great depression, when in 1932 was elected the President of U.S. P. Ruzvelt, his new course encouraged Americans, and they were very happy to construct the roads (of course, the automobile), and began other public useful activities. In this way they overcame the great depression. They also overcome crises when the technical revolution has changed the social, new methods, new inventions which were used in a large capital investments, the government launched alternative energy

searching for funding – from atom till the droppings, all affected countries changed governments, declared 'the Hence' policies, the International Monetary Fund helped the 'Tiger' with credits.

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. გამოცემა "სიახლე", თბ., 2010.
2. აქუბარდია თ. ეკონომიკური კრიზისის ფინანსური და პოლიტიკური მდგენელი. თბ., 2009.
3. გველესიანი მ. ეკონომიკური ციკლის საიდუმლო "კომენტარი", №3, 2004
4. გველესიანი მ. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ. "კომენტარი" 2008.
5. ნაკაიძე გ., ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ. განვითარების ეკონომიკა და ტექნოლოგიური პროგრესი. თბ., 2001.
6. 2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის გამოცემა. 2009.
7. Asatiani R. Dictionary of Business and Economics. The publication, «News», Tb. 2010.
8. Akubardia T. The financial and political component of economic crisis, Tb. 2009.
9. Gvelesiani M. Secret of the economic cycle, «comment», № 3, 2004
10. 4. Gvelesiani M. What is the economic policy? Tb. «Comment» in 2008.
11. Nakaidze G., Baratashvili E., Veshapidze Sh. Development economics and technological progress. Tb. 2001.
12. The 2008 crisis in Georgia: Background, reality, perspective. Independent Experts Club edition. 2009.